საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE BODY

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 41

07 03 2016 წელი

მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 4 მარტის N03/1349 წერილის განხილვის შესახებ.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 7 მარტის სხდომის N6 ოქმის მე-2 საკითხის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 თებერვლის N107 დადგენილებით დამტკიცებული ,,საქართველოში ფეხბურთის განვითარების (2016-2020 წ) სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ მე-3 მუხლის გ.ბ) პუნქტის საფუძველზე, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს 2016 წლის 02 მარტის N07/581 წერილის, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 4 მარტის N03/1349 წერილის და მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტში შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საფეხბურთო კლუბი ,,ალგეთი“-სათვის 2016 წელს გამოყოფილი თანხა 292081 ლარი გადაირიცხოს ა(ა)იპ ,,ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი“-ს ანგარიშზე: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი TRESGE22. ანგ. NGE24NB0330100200165022. სახაზინო შემოსულობების კოდი: 709557015. ს/ნ. 405135786.

2. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, შესაბამის სამსახურებთან ერთად უზრუნველყოს განკარგულების პირველი პუნქტის შესრულება.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა N4), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველ მოადგილეს ზაურ ტაბატაძეს.

ნაბი აბდულაევი
მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: